ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ო ქ მ ი № 4

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომისა

5 აპრილი

2021 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მე-IV მოწვევის საკრებულოს

წევრთა სარეგისტრაციო ს ი ა

5 აპრილი, 2021 წელი.

სხდომა N 4

10[00] საათი

1. ნუგზარ ჯამბურია -
2. კობა ძიძიგური -
3. მანანა სირბილაძე V -
4. შალვა არზუმანიანი -
5. ბადრი შენგელია -
6. მერაბ უღრელიძე -
7. გიორგი ლეჟავა -
8. ტარიელ დვალიშვილი -
9. რაჟდენ ტორონჯაძე -
10. ვაჟა სტურუა -
11. ზაზა ადეიშვილი -
12. კოტე ნაცვლიშვილი -
13. დავით ამაღლობელი -
14. გრიგოლ ჩიგოგიძე -
15. ხვიჩა ფანცულაია -
16. ტარიელ თევზაძე -
17. ილია მჟავია -
18. ვახტანგ დუნდუა -
19. ვაჟა კოხრეიძე V -
20. გოჩა არველაძე -
21. ბაია იმესაშვილი -
22. ავთანდილ ტორონჯაძე -
23. ლიზა კრავეიშვილი -
24. ნონა გოგისვანიძე -
25. გრიგოლ დარჯანია -
26. ემზარ შუბლაძე V -
27. მამუკა ხიბილეიშვილი V -
28. ავთანდილ თადუმაძე -
29. დავით ნიკოლეიშვილი -
30. ავთანდილ სტურუა -
31. ალექსანდრე ჯვარშეიშვილი V -
32. კამო კანდელაკი -
33. აკაკი მინაშვილი. -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის
ო ქ მ ი N 4

ქ. სამტრედია. 5 აპრილი, 2021 წელი.

2021 წლის 5 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე (ონლაინ ჩართვა), ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია, ტარიელ თევზაძე, ილია მჟავია, ვახტანგ დუნდუა, გოჩა არველაძე, ზაია იმესაშვილი, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი, ქეთევან მეფარიშვილი. ბუღალტერი, იზო ზარნაძე.
3. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' ხელმძღვანელი, ნინო ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.
4. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების ბუღალტერი, ნინო რუხაძე.
5. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სამხატვრო სკოლა-გალერეა''-ს ხელმძღვანელი, ნინო ნინუა. ბუღალტერი, ხათუნა ნიკოლეიშვილი.
6. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე. ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.
7. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენძელა პატარიძე.
8. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, მარინა თევზაძე.
9. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია''-ს ხელმძღვანელი, გიორგი ხელისუფალი.
10. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს ხელმძღვანელი, პავლე კაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.
11. ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა.

12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე; საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების უფროსი, მარინა ანდღულაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.
13. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.
14. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე"-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.
15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.
16. სამტრედიის ტელე-რადიო კომპანია ,,ზარი"-ს წარმომადგენლები.

გაცნობებთ, რომ ჩვენს სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე და ავტანდი სტურუა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/
2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/
3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/
4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/
5. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, " სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი"-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

9. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

10. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

11. „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

12. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

13. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შ.არზუმანიანი/

14. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ ლ. კრავეიშვილი/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ/შ ლ. კრავეიშვილი/

5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. სხვადასხვა

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (28 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1719, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მუხლში, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის თანხა მცირდება 0.70 ათ.ლარით, შესაბამისად კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.40 ათ.ლარით, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკის შეძენის ხარჯის მუხლში - 0.30 ათ.ლარით. ასევე ითხოვს არაფინანსურ აქტივებში ,,სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული" ხარჯის მუხლში თანხის შემცირებას 2.30 ათ.ლარით, შესაბამისად აღნიშნული თანხით იზრდება არაფინანსური აქტივის თანხა საინფორმაციო კომპიუტერული, სატელეკომუნიკაციო და სხვა დანადგარების კომპიუტერების შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" -ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 165 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მუნიციპალიტეტის მერის N 37/1700, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორცილდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,გომის თემის სამუსიკო სკოლა''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. 2021 წლის სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 1.0 ათ.ლარით, კერძოდ ხარჯებში, არაფინანსური აქტივის მუხლის თანხა იზრდება 1.00 ათ.ლარით, პრინტერის შესაძენად.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის'' 2021 წლის პროგრამისა და

ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1694, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, 2021 წლის სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 5.20 ათ.ლარით. ხარჯების ნაწილში, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდინარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 4.80 ათ.ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმების შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლის თანხა 0.40 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის" 2021 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 171 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მუნიციპალიტეტის მერის N 37/1699, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, 2021 წლის სუბსიდიის შემოსავლების გეგმა იზრდება 10.0 ათ.ლარით, ხარჯების ნაწილში საოფისე ავეჯის მუხლი იზრდება 5.1 ათასი ლარით, სხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში (სათამაშოების შესაძენად) თანხა იზრდება 4.9 ათასი ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 172 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, " სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1695, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,სამხატვრო სკოლა - გალერეა''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, იზრდება სუბსიდიის გეგმა 1.5 ათ.ლარით, შესაბამისად მუხლში, ,,არაფინანსური ხარჯი'' თანხა იზრდება 1.5 ათ.ლარით. აგრეთვე ამ მუხლში გადმოიტანება ,,ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა გადაყვანის) ხარჯი''-ს მუხლიდან 1.0 ათ.ლარი. ასევე ხორციელდება ცვლილება ოფისის ხარჯებში: მუხლში ,,საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ჭაღალდის და სხვა ანალოგიური მასალის ხარჯი'' - თანხა მცირდება 0.3 ათ.ლარით, ,,კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯის'' მუხლში თანხა მცირდება 2.0 ათ.ლარით შესაბამისად გაიზრდება ,,სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის'' მუხლის თანხა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას 2021 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ, " სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მუნიციპალიტეტის მერის N 37/1693, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, იზრდება 2021 წლის სუბსიდიის შემოსავლების გეგმა და შესაბამისად ხარჯების გეგმა 2.00 ათ.ლარით, რომელიც მიმართული იქნება ა.(ა)ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის დარბაზისთვის ფარდების შესაძენად. ასევე ხორციელდება შიდა მუხლობრივ ცვლილება. კერძოდ, ნორმატიული აქტების,

საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 0.70 ათ.ლარით, ელექტრო ენერგიის ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით, წყლის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯის მუხლში 5.00 ათ.ლარით, რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯის მუხლში 2.00 ათ.ლარით, სულ 9.20 ათ.ლარით. შესაბამისად საოფისე ავეჯის შეძენის მუხლში თანხა იზრდება 2.00 ათ.ლარით, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, მოვლა-შენახვის, ექსპლოატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯის მუხლში 1.00 ათ.ლარით, ,,არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული'' მუხლის თანხა იზრდება 6.20 ათ.ლარით, სულ 9.20 ათ.ლარი (საოფისე სკამების, კონდეციონერების, დინამიკის შესაძენად, რეკლამის ხარჯებისა და არსებული ინვენტარის მიმდინარე რემონტისათვის).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი¯-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1384 , 16/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, გაუქმდა საშტატო ერთეული ,,სცენის მუშა'', შესაბამისად შრომის ანაზღაურება - სცენის მუშის შტატი განაკვეთით 0.20 ათ ლარით გაიზარდა შესყიდვების სპეციალისტის განაკვეთი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის

სახელობის კულტურის ცენტრი"-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 180 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მუნიციპალიტეტის მერის N 37/1303, 15/03 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, დანართი N2- ში საკუთარი შემოსავლებში გეგმას დაემატება 1. COVID-19-ით გაწეული კვლევების ანაზღაურება 24.00 ათ.ლარი, ეპიდემიოლოგი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება (ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა) 7.80 ათ.ლარი, მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის და თამბაქოს პროდუქტებით ვაჭრობის მონიტირინგი 3.00 ათ.ლარი.

დანართი 3-ში ხარჯების გეგმას ემატება 1. საკუთარი შემოსავლებში თანამდებობრივ სარგოს მუხლში 24.00 ათ.ლარი (ß VI -19 კვლევები), 2. საკუთარი შემოსავლებში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 7.8 ათ.ლარი, ეპიდემიოლოგიის ხელფასი, 3. საკუთარ შემოსავლებში თანამდებობრივ სარგოს მუხლში 3.0 ათ.ლარი, თამბაქოს აკრძალვის მონიტორინგი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ტარიელ დვალიშვილმა, ნუგზარ ჯამბურიამ.

ტარიელ დვალიშვილი - უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მარინას და მის კოლექტივს. ისინი ნამდვილად ფრონტის წინა ხაზზე არიან და პირველები მოდიან შეხებაში ინფიცირებულებთან. ჩვენი მხრიდან იმსახურებენ მეტ ყურადღებას და თანადგომას.

ნუგზარ ჯამბურია - არ შემიძლია მადლობა არ გამოვხატო საკრებულოს წევრის, ბატონ ვახტანგ დუნდუას მისამართით, ქალბატონი მარინას და მისი შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე, რომლებიც დაუღალავად, სიცოცხლის ფასად, სიცოცხლის გადასარჩენად ეწევიან თავიანთ საქმიანობას. ბიუროს წევრების დამეთანხმებიან, რომ მე ავღნიშნე, ბოლო გარკვეული დღეების განმავლობაში, შეზღუდვების საკმაოდ შემცირებამ გამოიწვია ინფიცირებულთა რაოდენობის გაზრდა საქართველოში. ბატონო კოლეგებო, თქვენი გამოცდილება, თქვენი განათლებულობა, ერუდირება და თუნდაც თბილი სიტყვა, მიმართული უნდა იქნას იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ნებსით თუ უნებლიედ ამ პროცესების მიმართ ცოტა გულგრილნი გახდნენ. მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველო შეძლებს კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინოს თავისი აქტიური სახე და დამარცხებული იქნას. ყველა ერთად, ჩვენი სიცოცხლის ფასად ახალი სიცოცხლის გადასარჩენად, დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლა ვართ. გიხდით მადლობას ყველას.

ამავ დროს, არ მინდა ზედმეტობაში ჩამომართვას დარბაზმა, მე ხვალ 10[30] სთ-ზე, ვიტარებ ვაქცინაციას და ცხადია ჩემთან ერთად ჩემი ოჯახის წევრიც. ვიმედოვნებ და დარწმუნებული ვარ ყველაფერი კარგად იქნება. ქვეყნის გადარჩენა სიყვარულით შეიძლება, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და სიკეთეს გისურვებთ. ჩვენი გააზრებული ქმედებით მაგალითი უნდა ვიყოთ ბოლამდე თაობისათვის. ვაგრძლებთ სიცოცხლეს სიცოცხლისათვის.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1692 , 29/03 /2021 წ. წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია"-ს 11.03.2021 წლის N18 წერილის კორექტირებულ ვერსიას. აღნიშნული მომართვით მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს, მუხლობრივ ცვლილებას და 2021 წლის სუბსიდიის თანხის გაზრდას 5.10 ათ.ლარით. კერძოდ, მუხლში ,,ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯები" თანხა იზრდება 4.00 ათ.ლარით, ,,სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში (იჯარა) 1.0 ათ.ლარით და,, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯის" მუხლში - 0.10 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია განახლებული სპორტულ სეზონთან დაკავშირებით. კლუბს საწვრთნელ-მოსამზადებელი ვარჯიშებისათვის ესაჭიროება 4 თვის ვადით დარბაზის იჯარის თანხა 1.00 ათ.ლარი და გუნდის ტრანსპორტირებისათვის 4.00 ათ.ლარი, ასევე კოვიდ-19 რეგულაციებიდან გამომდინარე უკონტაქტო თერმომეტრის შესაძენად 0.10 ათ.ლარი.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია"-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 184 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1349, 16/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მუხლში „კავშირგაბმულობის'' თანხა მცირდება 0.30 ათ.ლარით, ,,სამსახურეობრივი ცხოველების მოვლა-შენახვის და აღკაზმულობის'' მუხლის თანხა 0.70 ათ.ლარით, ,,სპორტული ღონისძიებების'' მუხლის თანხა 0.50 ათ.ლარით, შესაბამისად იზრდება ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის'' მუხლის თანხა (ვიდეო თვალის მონტაჟი) 1.40 ათ.ლარით, ,,ელექტრო ენერგიის'' მუხლის თანხა 0.10 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ჯამბურიამ, ლიზა კრავეიშვილმა.

ნუგზარ ჯამბურიამ აღნიშნა, რომ სახელფასო ფონდის მოწესრიგებასთან დაკავშირებით მსჯელობა იყო ბიუროს სხდომაზე. საკითხი მოითხოვს გადახედვას და შესაბამის რეაგირებას.

ლიზა კრავეიშვილი - მიმაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს ა.(ა).ი.პ.-ების ხელმძღვანელთა სახელფასო ფონდი და შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგდეს. არ შეიძლება ერთ ა.(ა).ი.პ-ის ხელმძღვანელს მიზერული ხელფასი ქონდეს და მეორისას გაცილებით მეტი. მომავალი წლისათვის აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას სახელფასო ცვილება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი''-ს 2021 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 183 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1383, 16/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი სამტრედია''-ს 2021 წლის სუბსიდიის

გუგაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, მცირდება შემდეგი მუხლების თანხები: „მცირეგაბარიტული საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი 0.20 ათ ლარით, ,,რბილი ავეჯის'' ხარჯი - 0.50 ათ. ლარით, ,,შენობა-ნაგებობის და მათი მიმდინარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის'' ხარჯი - 0.90 ათ ლარით. შესაბამისად იზრდება „კომპიუტერული ტექნიკის შეძენისა და განახლების'' მუხლის თანხა - 0.40 ლარით, ,,კატრიჯების შეძენის და დატუმბვის'' მუხლის ხარჯი - 0.20 ათ ლარი, ,,კავშირგაბმულობის'' მუხლის თანხა - 0.50 ათ ლარი, „რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული'' მუხლის თანხა - 0.50 ათ ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა და ავთანდილ თადუმაძემ.

აკაკი მინაშვილი დაინტერესდა თუ რა მდგომარეობაში იყო და რა ბედი ეწია ხელოვნურ ხალიჩას.

ავთანდილ თადუმაძემ აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული ხალიჩა წარმოადგენს მე-7 თაობის საფეხბურთო ხალიჩას. ის არის საკმაოდ კარგი ხარისხის და საქართველოს მასშტაბით ბადალი არა აქვს. ასე უყურადრებოდ ამდენი ხნის განმავლობაში ის ნამდვილად დაზიანდება, გამოვა მწყობრიდან და საბოლოო ჯამში გამოუყენებელი დარჩება ჩვენი საფეხბურთო მოედნისათვის.

ალექსანდრე სტურუამ აღნიშნა, რომ ველოდებოდით მითითებას სამინისტროდან. ჯერ-ჯერობით არ მიგვიღია რაიმე სახის გადაწყვეტილება. თუმცა ახალ პროექტს აკეთებენ, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იქნება ხელოვნური ხალიჩა. ტენდერი გამოცხადებულია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია"-ს მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2021 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 186 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის შემოსავალმა შეადგინა 1689,5 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 82,9 %-ით, საგადასახადო შემოსავლებმა შეადგინა 1162,5 ათასი ლარი, რაც თებერვლის თვის გეგმის 95,6 %-ია, აქვე უნდა აღვნიშნოთ , რომ დ.ღ.გ. საქმიანობიდან მიღებულმა გადასახადმა შეადგინა - 1135,9 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 94,7 %-ით, ხოლო მიწის გადასახადიდან მიღებულია - 25,2 ათასი ლარი გეგმა შესრულდა 168%-ით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის თებერვლის თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ, მიღებულია ცნობად.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, შალვა არზუმანიანმა, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტის უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი თანხა განესაზღვრა 89.1 ათ. ლარით. შესაბამისად, გაიზარდა კოდი 04 02 ზოგადი განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების გეგმა - 89.1 ათ. ლარით.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის N148 განკარგულებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრა 660,0 ათ. ლარის ოდენობით, შესაბამისად გაიზარდა კოდი 02 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების არაფინანსური აქტივების გეგმის ელექტროგადამცემი ხაზები -341,7 ათ. ლარით, სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული -213,7 ათ. ლარით, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული -15,5 ათ. ლარით, საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - 87,4 ათ. ლარით, და სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი -2,3 ათ. ლარით.

შემცირდა კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურება (შიდა მოხრეშვითი სამუშაოები) - 50,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა კოდი 04 04 სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობის არაფინანსური აქტივების გეგმა (არასაცხოვრებელი შენობები - ტოლების ბაღი) - 50,0 ათ. ლარით;

შემცირდა კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა (მრავალსართულიანი ბინის ეზოებში ასფალტო - ბეტონი) - 105,0 ათ. ლარით . შესაბამისად გაიზარდა კოდი 02 01 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა (კალაპოტების გაწმენდა) – 60,0 ათ. ლარით და ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა (სანიაღვრე არხები, ბოგირები, ცხაურები და ხიდი, მათ შორის რიონის ქუჩის ხიდი, დიდგორის და კოსტავას ხიდი) - 45,0 ათ. ლარით.

კოდი 02 03 03 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს - 180,0 ათ. ლარით და ასევე, ნაშთი - 314,8 ათ. ლარით, სულ 494,8 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა და მოწესრიგდა:

- კოდი 02 04 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება სულ - 220,0 ათ.ლარით, მათ შორის არაფინანსური აქტივების გეგმის ელექტროენერგეტიკული ხაზები - 114,0 ათ. ლარით, სხვა ნაგებობები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული -106,0 ათ. ლარით.
- კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების შენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა (მათ შორის: სტადიონის დარბაზი; ძიუდოს დარბაზი; წინსვლის ქუჩაზე სტადიონი; სპორული ბინის სტადიონი; ეწრის სტადიონი - ვაღურია სტადიონი) – 250,0 ათ. ლარით.
- კოდი 05 01 02 04 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი "სამტრედია"-ს სუბსიდია - 5,1 ათ. ლარით.
- კოდი 05 02 01 06 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის სუბსიდიის გეგმა - 5,2 ათ. ლარით.
- კოდი 05 02 01 04 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის არაფინანსური აქტივების გეგმა - 1,0 ათ. ლარით.
- კოდი 04 01 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების სუბსიდია - 10,0 ათ. ლარით.
- კოდი 04 03 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიის გეგმა - 2,0 ათ. ლარით.
- კოდი 05 02 01 07 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას არაფინანსური აქტივების გეგმა - 1,5 ათ. ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

კოდი 04 03 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდიის გეგმა შემცირდა 6,2 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების გეგმა.

კოდი 05 05 02 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდა 3,9 ათ. ლარით; სხვა ხარჯების გეგმა - 1,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

კოდი 05 02 01 07 ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას სუბსიდიის გეგმა შემცირდა 1,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა არაფინანსური აქტივების გეგმა.

კოდი 05 05 01 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსების საქონელი და მომსახურების გეგმა შემცირდა 5,9 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა ამავე კოდის სხვა ხარჯების გეგმა.

კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმა შემცირდა - 325,0 ათ. ლარით და შესაბამისად გაიზარდა კოდი 05 01 01 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების შენებლობა და რეკონსტრუქციის არაფინანსური აქტივების გეგმა - 200,0 ათ. ლარით და კოდი 01 01 02 სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა -125,0 ათ. ლარით (ადმინისტრაციული შენობის კეთილმოწყობა).

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინდეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე .

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1672, 29/03 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ცვლილების მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი 18 დადგენილებაში მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირის დასახელება, ნაცვლად ,,გამგებლისა", იქნება ,,მერი", ხოლო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულების დასახელება, ნაცვლად ,,გამგეობისა", იქნება ,,მერია".

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინდეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი კონკურსის პირობების და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილი №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ".

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამინის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ბადრი შენგელიასთან,** 2021 წლის 5 აპრილიდან, შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ფარგლით, 24 სამუშაო დღით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მოვალეობის შესრულება დაეკისროს **საკრებულოს** წევრს, **ხვიჩა ფანცულაიას.**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ".

დღის ***წესრიგის XVI საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ".

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/1766, 30/03 /2021 წ. წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ", წარმოდგენილია განკარგულების პროექტი.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება

		(ლარი)	
		სულ	მ.შ.თან ადაფინ ანსება
	1	2	3
1	სოფ. ღანირში სოფ გვაზაურის მიმართულებით ასფალტ ბეტონის საფარის მოწყობა	301 960	15 098
2	რობაქიძის N1;N2; N3; N6 N8 ჩიხებში; N2 შესახვევში, მელაურის ადმ. ერთ N4 ჩიხში, წერეთლის ქუჩაზე ილორის სასაფლაოდან ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება	502 159	25 107
3	დაბა კულაში, რაზმაძის ქუჩიდან სოფელ მიწაბოგირის მიმართულებით ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	203 589	10 179
4	სოფ. ღანირში ე.წ. ,,ნაბოსტნარის"ქუჩაზე ასფალტ ბეტონის საფარის დაგება	108 203	5 414

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი 4 პროექტის მოწონების შესახებ".

დღის წესრიგის XVII საკითხთან დაკავშირებით (სხვადასხვა) მოქალაქემ, ბადრი ვაშაკიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განცხადება. განმცხადებელი აღნიშნავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, მისი აზრით არსებული, კორუფციის, ნეპოტიზმის და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. რომელშიც მისივე განმარტებით, დანაშაულებრივად ჩართულია ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. (განცხადება 11 ფურცლად). განცხადების დასასრულს ითხოვს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის, თანამდებობიდან გადაყენებას და დღეიდან, მიმართავს პროტესტის უკიდურეს ზომას, შიმშილობას. (განცხადება ოქმს თან ერთვის.)

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: *ნუგზარ ჯამბურია*

სამტრედიის მუნიციპალიტეტის

IV მოწვევის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი №4

შედგება 69 (ექვსოცდაცხრა)
ფურცლისგან

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
თავმჯდომარე:

ნუგზარ ჯამბურია

2021 წელი